ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხარჯები

2011-2016 წლები

ანალიზი მომზადებული პროექტის - საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

Visegrad Fund

Government of the Netherlands

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 3

დასაქმებული თანამშრომლები 4

შრომის ანაზღაურების ხარჯები 6

სამივლინებო ხარჯები 10

წარმომადგენლობითი ხარჯები 12

ავტომობილების შესყიდვა, ავტოპარკი, საწვავის ხარჯები 14

დასკვნა 17

ძირითადი მიგნებები

- 2016 წელს 2011 წელთან შედარებით აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯები 24%-ით არის გაზრდილი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის 30%-ით არის შემცირებული;

- 2013 წლიდან სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით 40%-ით არის შემცირებული;

- აფხაზეთის ა/რ-ის აპარატის შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები 2016 წელს 2011 წელთან შედარებით დაახლოებით 3-ჯერ არის გაზრდილი;

- 2017 წლის მდგომარეობით აფახაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის ბალანსზე ირიცხება 4, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ბალანსზე 22 ავტომობილი;

- როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, ასევე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე განპიროვნებულია ორ-ორი ავტომობილი;

- 2011-2016 წლებში როგორც აფხაზეთის მთავრობის, ასევე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ გაწეული სამივლინებო და საწვავის მოხმარების ხარჯების თვალსაზრისით კლების ტენდენციები შეინიშნება.

2017 წლის 23 მაისს IDFI-იმ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციებს მიმართა 2011-2016 წლებში მათი საკადრო პოლიტიკის და გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. ამ უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს წარმოგიდგინოთ 2011-2016 წლებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლების და მათი შრომის ანაზღაურების, სამივლინებო, წარმომადგენლობით, სატელეკომუნიკაციო და ავტოპარკის ხარჯების ტენდენციების ანალიზი.

დასაქმებული თანამშრომლები

2011-2016 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტს სრულად არ მიეწოდა. კერძოდ, მიღებული საჯარო ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ 2016 წლის მონაცემებს, რომლის მიხედვით აპარატში დასაქმებული იყო 59 საშტატო და 10 შტატგარეშე თანამშრომელი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011-2016 წლების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ასახული მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი თანამშრომელი აპარატში დასაქმებული იყო 2013 წელს- 62, ხოლო ყველაზე ცოტა 2011 წელს - 53 თანამშრომელი.



2013-2016 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან სულ გათავისუფლდა 36 თანამშრომელი. მათ შორის, პირადი განცხადების საფუძველზე - 9 , სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით -9 , შემცირება - 10, ხელშეკრულების ვადის გასვლა - 8 თანამშრომელი. აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატიდან, ყველაზე მეტი - 18 თანამშრომელი 2013 წელს გათავისუფლდა.

სამწუხაროდ, 2011-2012 წლებში გათავისუფლებული თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტს აპარატმა არ მიაწოდა.



2011-2016 წლებში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში ყველაზე მეტი (136) თანამშრომელი დასაქმებული იყო 2011 წელს - 99 საშტატო და 37 შტატგარეშე. 2013 წლიდან ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს. კერძოდ, საშტატო თანამშრომელთა რიცხვი 82-მდე შემცირდა, ხოლო 2013-2015 წლებში ადმინისტრაციას შტატგარეშე თანამშრომლები საერთოდ არ ჰყოლია. 2016 წლის მონაცემებით ადმინისტრაციაში დასაქმებულია 82 საშტატო და 3 შტატგარეშე თანამშრომელი.



2011-2016 წლებში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან სულ გათავისუფლდა 46 თანამშრომელი. მათ შორის, 22 თანამშრომელი სამსახურიდან რეორგანიზაციის გამო დაითხოვეს, 20 თანამშრომელი - პირადი განცხადების საფუძველზე, 3 - სხვა სამსახურში

გადასვლასთან დაკავშირებით, ხოლო 1 თანამშრომელი - დისციპლინური გადაცდომის გამო. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში ყველაზე მასშტაბური შემცირება 2013 წელს განხორციელდა, როდესაც 22 თანამშრომელი რეორგანიზაციის გამო დაითხოვეს.



შრომის ანაზღაურების ხარჯები

2011-2016 წლებში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების თვალსაზრისით აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატში და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში არაერთგვაროვანი ტენდენციები ფიქსირდება. 2016 წელს 2011 წელთან შედარებით აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯები 24%-ით არის გაზრდილი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის 30%-ით არის შემცირებული.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების შემცირება, უმეტესწილად შტატგარეშე თანამშრომლების განთავისუფლებამ განაპირობა. მაგალითად, 2011 წელს მათ შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 426 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს მხოლოდ 14 ათასი ლარი.





აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში დასაქმებული საშტატო თანამშრომელთა მინიმალური ყოველთვიური სარგო 800 ლარს შეადგენს. მთავრობის თავმჯდომარის ყოველთვიური სარგოს ოდენობა 3,310 ლარით არის განსაზღვრული, ხოლო აპარატის უფროსის - 2,050 ლარით. აფხაზეთის მთავრობის აპარატის თანამშრომლების თანამდებობრივ სარგოებზე გაწეული ხარჯები 2011 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად იმატებს და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს ფიქსირდება - 756 ათასი ლარი.

საშტატო თანამშრომლებთან ერთად 2012 წლის შემდეგ ყოველწლიურად იმატებს შტატგარეშე თანამშრომლების თანამდებობრივ სარგოზე გაწეული ხარჯებიც. მაგალითად, 2016 წელს გაწეული მსგავსი ხარჯები დაახლოებით 3-ჯერ აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომლების წახალისების დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს პრემიის გაცემა. 2011-2016 წლებში ყველაზე დიდი თანხა პრემიის სახით გაცემულია 2012 წელს - 164,6 ათასი ლარი. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 129,6 ათას ლარამდე შემცირდა, თუმცა მომდევნო წლებში კვლავ გაიზარდა და 2016 წელს დაახლოებით 2012 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა - 158,5 ათასი ლარი.

2011-2016 წელს საშტატო თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურების ხარჯების ანალიზის შედეგად იკვეთება ტენდენცია: ყოველთვის როდესაც მცირდება საშტატო თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, იზრდება პრემიებზე გაწეული ხარჯები. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, აპარატში ვაკანტური პოზიციების შედეგად დაზოგილი თანამდებობრივი სარგოს ხარჯები, თანამშრომლებზე ნაწილდება პრემიების სახით.





სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში დასაქმებული საშტატო თანამშრომელთა მინიმალური ყოველთვიური სარგო 585 ლარს შეადგენს. მაგალითად, საშტატო ნუსხის მიხედვით მინიმალური სარგო განსაზღვრულია 6 დამხარე მუშაკისთვის (დამლაგებელი), ასევე სხვადასხვა სამმართველოს წამყვანი სპეციალისტებისათვის. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველთვიური სარგო შეადგენს 4,910 ლარს, რაც აღემატება როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, ასევე საქართველოს მინისტრების ყოველთვიურ სარგოს.

2012 წლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა კლებასთან ერთად, შემცირებულია სარგოზე და პრემია/დანამატზე გაწეული ხარჯებიც. მაგალითად, 2011 წელს პრემიის სახით გაიცა 261 ათასი ლარი (სახელფასო დანამატები 2015 წლამდე ადმინისტრაციაში არ გაიცემოდა), ხოლო 2016 წელს პრემიის სახით 99 ათასი, ხოლო სახელფასო დანამატის სახით - 79 ათასი ლარი.





სამივლინებო ხარჯები

2011-2016 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სამივლინებო ხარჯებმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2012 წელს მიაღწია - 82 ათას ლარი. აღსანიშნავია, 2011 და 2012 წელს გაწეული სამივლინებო ხარჯები ჯამურად 25.49 ათასი ლარით აღემატება ბოლო 4 წლის მანძილზე გაწეულ ანალოგიურ ხარჯებს.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის სამივლინებო ხარჯები 2012 წელს განახევრდა და

მომდევნო წლების მანძილზე უმნიშვნელოდ იცვლებოდა. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით სამივლინებო ხარჯები 12%-ით შემცირდა და 27.96 ათასი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2011 წლის უმაღლესი ანალოგიური მაჩვენებლის 38%-ს შეადგენს.



დეტალური ინფორმაცია განხორციელებული მივლინებების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა ინსტიტუტს არ მიაწოდა. ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი სამთავრობო დელეგაციასთან ერთად მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად 4-ჯერ იმყოფებოდა ჟენევაში. ჯამში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამივლინებო ხარჯებმა 9 134 ლარი შეადგინა.

დიმიტრი სანაკოევის სამივლინებო ხარჯები			
მივლინების თარიღი	მივლინების მიზანი	ქვეყანა	სამივლინებო ხარჯი (₾)
22.03.16 – 23.03.16	სამთავრობო დელეგაციის წევრი ჟენევის მოლაპარაკებებში	შვეიცარია	2, 617

14.06.16 – 15.06.16	სამთავრობო დელეგაციის წევრი ჟენევის მოლაპარაკებებში	შვეიცარია	1, 880
04.10.16 – 05.10.16	სამთავრობო დელეგაციის წევრი ჟენევის მოლაპარაკებებში	შვეიცარია	2, 439
13.12.16 – 14.12.16	სამთავრობო დელეგაციის წევრი ჟენევის მოლაპარაკებებში	შვეიცარია	2, 197

წარმომადგენლობითი ხარჯები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობითი ხარჯების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა. ამ წლის მაჩვენებელი 2011 წლის ყველაზე მაღალ მაჩვენებლზე 32%-ით ნაკლებია, ხოლო 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 10%-ითაა შემცირებული.



2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებამ - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველომ 13,240 ლარის ოდენობის წარმომადგენლობითი ხარჯი გაწია, საიდანაც სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით სარესტორნო მომსახურებაზე დახარჯულია 1,707 ლარი.

ღონისძიების ჩატარების თარიღი	ღონისძიების შინაარსი	ღონისძიების ჩატარების ადგილი	წარმომადგენლობითი ხარჯი (₾)
19.02.16	საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა	შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიას“ რესტორანი	421.85
06.04.16	საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების შეხვედრა	შპს სპრინგი რესტორანი „ბეღელი“	443.2
08.04.16	საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივ წარმომადგენელთან შეხვედრა	შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიას“ რესტორანი	295.59
06.06.16	ოფიციალურ სტუმრებთან საქმიანი ვახშამი	შპს სპრინგი რესტორანი „ბეღელი“	162.8
21.07.16	საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა	შპს კოპალა რესტორანი „კოპალა“	207.92
07.12.16	გაეროს პოლიტიკურ მრჩეველთან ოფიციალური შეხვედრა	შპს მარს-რესტორანი „მეგრული სახლი“	175.39

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მსგავსი ხარჯები ადმინისტრაციის მიერ გაწეულია მხოლოდ 2014 (4.3 ათასი ლარი) და 2016 (10.2 ათასი ლარი) წლებში.

ავტომობილების შესყიდვა, ავტოპარკი, საწვავის ხარჯები

2017 წლის მონაცემებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე 4 ავტომობილი ირიცხება, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება 149,245 ლარია. ბალანსზე რიცხული ავტომობილებიდან 2 ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი - Hyundai Sonata და Toyota Land Cruiser მთავრობის თავმჯდომარეზეა განპიროვნებული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომობილები					
	ავტომობილის მოდელი	გამოშვების წელი	შეძენის/გადმოცემის თარიღი	საბალანსო ღირებულება (₾)	ნარჩენი ღირებულება (₾)
1	Hyundai Sonata	2014	2014	60,000	53,280
2	Toyota Land Cruiser	2007	2011	40,062	17,627
3	Hyundai Elantra	2013	2013	28,800	19,123
4	Kia Rio	2014	2014	20,383	15,083

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადმინისტრაციის ბალანსზე 22 ავტომობილი ირიცხება - საერთო საბალანსო ღირებულებით 535,558 ლარი. აქედან 19 ავტომობილი განპიროვნებულია, 1 ავტომობილი მთავრობისათვის გადაცემულია დროებით სარგებლობაში, ხოლო დანარჩენი 2 არ არის განპიროვნებული. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შემთხვევაშიც 2 ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელზეა განპიროვნებული. ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული 22 ავტომობილიდან 7-ის ნარჩენი ღირებულება 0-ს უტოლდება.

ავტოპარკის განახლებაზე ყველაზე დიდი ხარჯი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ გაწეულია 2012 წელს - 435,8 ათასი ლარი.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილები					
	ავტომობილის მოდელი	გამოშვების წელი	შეძენის/გადმოცემის თარიღი	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
1	Toyota Camry	2012	2012	47, 398	20, 855
2	Toyota Land Cruiser Prado	2008	გადმოცემულია	56, 106	0
3	Toyota Land Cruiser	1999	2007	42, 000	0
4	Volkswagen Jetta	2006	2012	12, 741	5, 606
5	Chevrolet Niva	2006	გადმოცემულია	14, 905	0
6	Chrysler PT Cruiser	2001	გადმოცემულია	9, 056	1, 956
7	Hyundai Tucson	2007	2008	29, 088	0
8	Hyundai Accent	2012	2012	22, 666	7, 933
9	Hyundai IX 35	2012	2012	36 ,647	16, 124
10	Hyundai Accent	2012	2013	22,666	7 ,933
11	Hyundai Accent	2012	2014	22, 335	7, 817
12	Hyundai Accent	2012	2015	22, 666	7, 933
13	BMW X5	2003	2009	31, 700	3, 296
14	Chevrolet Niva	2006	გადმოცემულია	5, 000	1, 750
15	VAZ 21213	2004	გადმოცემულია	12, 350	0
16	Chevrolet Niva	2006	გადმოცემულია	4, 500	1, 575
17	Renault Clio	2005	გადმოცემულია	6, 052	544
18	Toyota Hilux	2008	2008	40, 950	0
19	Mercedes-Benz Vito	2008	2017	26 ,000	26 ,000
20	Toyota Runner	1997	2007 (არ არის განპიროვნებული)	17, 010	0
21	Chevrolet Niva	2006	გადმოცემულია (არ არის განპიროვნებული)	23, 717	2, 134
22	ავტობუსი Neoplan	1990	გადმოცემულია დროებით სარგებლობაში	30, 000	6, 480

2011-2016 წლებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯი ყოველწლიურად იკლებდა. 2016 წელს 2011 წელთან შედარებით გაწეული ხარჯი 66.5%-ით შემცირდა და 24.71 ათასი ლარი შეადგინა.

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარისათვის განპიროვნებული 2 ავტომანქანისათვის ჯამში ყოველთვიურად განსაზღვრულია 1,100 ლიტრი საწვავი და 20 ერთეული რეცხვის ტალონი. აპარატის უფროსზე განპიროვნებულ ავტომობილზე ყოველთვიური ლიმიტი შეადგენს 250 ლიტრ ბენზინს და 4 ერთეულ რეცხვის ტალონს, ხოლო სამორიგეო ავტომობილზე - 200 ლიტრი ბენზინი და 3 ერთეული რეცხვის ტალონი.

ანალოგიური ხარჯი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაშიც. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2011 წელს დაფიქსირდა - 312.91 ათასი ლარი, ყველაზე მკვეთრი კლება კი - 2013 წელს, როდესაც, 2012 წელთან შედარებით, საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები 50%-ით შემცირდა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 72.01 ათას ლარს გაუტოლდა, რაც 2011 წლის მაჩვენებელზე დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებია. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტი შეადგენს 500 ლიტრ ბენზინს.



დასკვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან მიღებული 2011-2016 წლის მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ დასაქმებულ თანამშრომელთა და სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების რაოდენობის თვალსაზრისით, ბოლო წლებში არაერთგვაროვანი პრაქტიკა დამკვიდრდა. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში 2013 წლიდან დასაქმებულ თანამშრომელთა კლების შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირებულია მათ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები, ხოლო აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატში მსგავსი ხარჯები ყოველწლიურად იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის შემდეგ ადმინისტრაციული ხარჯების თვალსაზრისით (სამივლინებო, საწვავის მოხმარების ხარჯი), როგორც აფხაზეთის მთავრობის, ასევე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შემთხევაში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, კვლავ რჩება კითხვები (მაგ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ავტოპარკის მოცულობა, აფხაზეთის მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებულ შტატგარეშე თანამშრომელთა მზარდი ანაზღაურება და. სხვა) ამ უწყებებში საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებით.